

დემოკრატიული მოქალაქეობის (სამოქალაქო აქტიურობა და ინტეგრაცია)  
განვითარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებში.

ნათელა ბეჟანიძე

მარიამ მაზიაშვილი

ანი მარდალეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, განათლების  
ადმინისტრირების (სკოლის ადმინისტრირება) მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაღაზონია, სრული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა ბეჟანიძე

ანი მარდალეიშვილი

მარიამ მაზიაშვილი

06.07.2020

## აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს თბილისის კერძო სკოლა „თანამედროვე განათლების აკადემიაში“ განხორციელებულ პრაქტიკის კვლევის ანგარიშს.

კვლევაში ჩართული იყო ზემოთ აღნიშნული სკოლის ორი კლასი: მე-9 კლასი წარმოადგენდა კვლევის ექსპერიმენტულ კლასს, ხოლო მე-10 კლასი- საკონტროლო კლასს.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო მე-9 კლასის მოსწავლეებში აქტიური მოქალაქისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება ექსტრაკურიკულარული აქტივობების საშუალებით. კვლევის მიზნის მისაღწევ საკვლევ კითხვებს წარმოადგენდა:

1. როგორია მოსწავლეთა მოქალაქეობრივი კომპეტენციების (ინტეგრაცია და მონაწილეობა) დონეები კვლევის საწყის ეტაპზე ექსპერიმენტული ჯგუფის, მე-9 კლასის მოსწავლეებში და საკონტროლო ჯგუფის, მე-10 კლასის მოსწავლეებში ?
2. როგორია ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების მოქალაქეობრივი კომპეტენციების დონეებს შორის თანაფარდობა ?
3. როგორია ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების მოქალაქეობრივი კომპეტენციის დონე ინტერვენციების დასრულების შემდეგ და რა მიმართებებია პოსტ და პრე-ტესტის კითხვარებს შორის? ასევე პოსტ კითხვარის შედეგებსა და საკონტროლო კლასის გამოკითხვით მიღებულ შედეგებს შორის.
4. რამდენად განაპირობებს მიზნობრივი ექსტრაკურიკულარული აქტივობები მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მოსწავლეების მოსაზრებების გათვალისწინებით დავგეგმეთ ინტერვენციები, რომლებშიც მათ მიიღეს მონაწილეობა და ასევე განხორციელეს შესაბამისი აქტივობები.

კვლევის მიზნის შესაბამისად, მე-9 კლასის მოსწავლეებში ამაღლდა სასკოლო არაფორმალურ აქტივობების დაგეგმვისა და მონაწილეობის მოტივაცია და მათი მოქალაქეობრივი ცნობიერების დონე.

**საკვანძო სიტყვები:** დემოკრატიული მოქალაქეობა, მოქალაქეობრივი ღირებულებები, ექსტრაკურთკულარული აქტივობები

## Abstract

The present work represents a research report on the practice implemented at Tbilisi Private School “Contemporary Education Academy”.

The research involved two classes of the above school: class 9 represented an experimental class of the research and class 10 – a control class. Purpose of our research was to develop skills among the students of class 9 required for an active citizen through extracurricular activities. Questions of the research aimed at achieving the objective of the research were as follows:

1. What is the degree of citizenship competencies (integration and participation) of the students at the initial stage of the research among the experimental group of class 9 students and the control group of class 10 students?
2. What is the ratio of degree of citizenship competencies between the experimental and control groups?
3. What is the degree of citizenship competences among students of the experimental group upon completion of interventions and what is the relation between post- and pre-test questionnaires? As well as what is the relation between the results of a post-questionnaire and the results obtained by means of interviews in the control class.
4. To what extent the targeted extracurricular activities help develop citizenship awareness of the students?

To achieve the noted goal, with consideration of students’ opinions, we planned certain interventions in which students participated and undertook respective activities.

In compliance with the purpose of the research, motivation for planning and participation in informal school activities and a level of citizen awareness were raised among class 9 students.

**Key words:** democratic citizenship, citizenship values, extracurricular activities.

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ბატონ დავით მალაზონიას სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს მოცემული რჩევებისათვის და ასევე მისგან, როგორც „თანამედროვე განათლების აკადემიის“ სკოლის დირექტორისაგან, მხარდაჭერისათვის.

მადლობას ვუხდით ჩვენს თანახელმძღვანელს ქალბატონ სოფო ლობჯანიძეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის.

მადლობას ვუხდით სკოლის „თანამედროვე განათლების აკადემიის“ ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პედაგოგებს და მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს ჩვენ მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ კვლევაში მონაწილეობისათვის.